სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 119 (233) | კვირა, 29 ოქტომბერი | 1944 წ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
გენერალ-პოლკოვნიკ პეტროვს

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა დღეს, 26 ოქტომბერს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიკავეს იმიერკარპატების უკრაინის სამრეწველო ცენტრი ქალაქი მუკაჩევო — კომუნიკაციათა დიდმნიშვნელოვანი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი კარპატების სამხრეთ შტოებთან.

ქალაქ მუკაჩევოს დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ჟურავლიოვის, გენერალ-მაიორ ვასტილოვიჩის, გენერალ-მაიორ დუდარევის, გენერალ-მაიორ მელნიკოვის, პოლკოვნიკ ტიტენკოს, პოლკოვნიკ ჩორნის, პოლკოვნიკ აკულოვის, პოდპოლკოვნიკ პოდლუპრიგორას, პოდპოლკოვნიკ ფედოროვის, მაიორ ანკუდინოვის, კაპიტან ჩეპურკოს ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კარიოფილის, პოლკოვნიკ იაკოვლევის, პოლკოვნიკ ბოგატირევის, პოლკოვნიკ შარაპოვის, პოლკოვნიკ პარნოვსკის, პოდპოლკოვნიკ ნიუხალოვის, პოდპოლკოვნიკ ტერეხინის, მაიორ კოდიაკოვის, მაიორ ჟუიკოს არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ხოლოვიოვის, პოლკოვნიკ სეროვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ჟდანოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კოლესნიკოვის, პოლკოვნიკ ბარაშის, პოლკოვნიკ სტონოგას, პოლკოვნიკ ბუხარევის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ მატვეევის, მაიორ კოროტკოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ მუკაჩევოს დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „მუკაჩევოს" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 ოქტომბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდათხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-4 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი მუკაჩევო.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ მუკაჩევოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 26 ოქტომბერი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
არმიის გენერალ კ. ა. მერეცკოვისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

არმიის გენერალ კირილე აფანასის-ძე მერეცკოვს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1944 წლის 26 ოქტომბერი.

ი. ე. პეტროვისა და მ. ა. პურკაევისათვის არმიის გენერლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიენიჭოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული არმიის გენერლის სამხედრო წოდება:

ივანე ექვთიმეს-ძე პეტროვს
მაქსიმე ალექსის-ძე პურკაევს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ი. სტალინი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი
ი. ჩადაევი.

მოსკოვი, კრემლი.
1944 წლის 26 ოქტომბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
გენერალ-პოლკოვნიკ პეტროვს

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, სწრაფი შეტევის შედეგად, დღეს, 27 ოქტომბერს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიკავეს იმიერკარპატების უკრაინის მთავარი ქალაქი — უჟგოროდი — კომუნიკაციების დიდი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი.

უჟგოროდის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ჟურავლიოვის, გენერალ-მაიორ აფონინის, გენერალ-მაიორ მელნიკოვის, გენერალ-მაიორ დრიომინის, გენერალ-მაიორ პოდშივაილოვის, გენერალ-მაიორ ფროლოვის, გენერალ-მაიორ ფადეევის, გენერალ-მაიორ პროხოროვის, პოლკოვნიკ ჩორნის, პოლკოვნიკ ჟერდიენკოს, პოლკოვნიკ პეშკოვის, პოდპოლკოვნიკ აკულოვის, მაიორ ტარასოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კარიოფილის, არტილერიის გენერალ-მაიორ ნაიდიონკოვის, პოლკოვნიკ ვოროგბიოვის, პოლკოვნიკ ნოვიკოვის, პოდპოლკოვნიკ ბრუკის, პოდპოლკოვნიკ იაშინის, პოდპოლკოვნიკ ნიუხალოვის, პოდპოლკოვნიკ ნაზაროვის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ სოლოვიოვის, პოლკოვნიკ მორუსის, პოდპოლკოვნიკ ოლხოვენკოს ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ჟდანოვის, პოლკოვნიკ ჩუკის, მაიორ ბარულინის, მაიორ შაპელსკის, მაიორ მარგოშინის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კოლესნიკოვის, პოლკოვნიკ ბუხარევის, პოდპოლკოვნიკ ნაუმოვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ მატვეევის, პოლკოვნიკ სტეპანიანის, მაიორ კოროტკოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი უჟგოროდის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „უჟგოროდის" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 27 ოქტომბერს, 21 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდათხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-4 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს უჟგოროდი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ უჟგოროდის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 27 ოქტომბერი.

მოსკოვი, კრემლი

უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ
ი. ბ. სტალინს

ბატონო მარშალო, — საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების შესაბამისად, როგორც ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგატმა ჩვენი სახელმწიფო დამოუკიდებლობის წლისთავის დღეს, 1944 წლის 28 ოქტომბერს, მე ჩავიბარე ძალაუფლება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის განთავისუფლებულ რაიონებში. ამ ღირსშესანიშნავ დღეს ნება მიბოძეთ გამოვთქვა ღრმა პატივისცემა და მადლობა თქვენდამი და თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ გმირი წითელი არმიისადმი. ამავე დროს ჩეხოსლოვაკიის ხალხების სახელით გთხოვთ გულითადი სალამი და პატივისცემა გადასცეთ საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხს, რომელთა უსაზღვრო ღონისძიებებმა გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში საშუალება მოგვცა ჩვენ დავბრუნებულიყავით ჩვენს საყვარელ სამშობლოში.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგატი ფ. ნემეცი.

ზაკარპატიე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
28 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

კარელიის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, პეტსამოს (პეჩენგის) ოლქის ტერიტორიაზე დაიკავეს დასახლებული პუნქტები მაიატალო, ნაუტსი და ნორვეგიის ტერიტორიაზე დაიკავეს დასახლებული პუნქტები ბუქოლმი, სტონგა, ვეინესი, ლილებეკენი, მუნკელვენი, ანიელფიელი, ნეიდენი.

პრაგის (ვარშავის გარეუბანი) ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები, პოლონეთის 1-ლი არმიის ნაწილებთან ერთად, ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური იაბლონა-ლეგიონოვო და დასახლებული პუნქტი კომორნიცა, ციგელნია, სტანისლავუვი, იუზეფუვი, იაბლონა.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ქალაქ უჟგოროდის ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ჩუკალოვცე, იალოვა, კლენოვა, უბლია, სტრიხოვცე, კოდგრადიე, გუსაკი, სეიკოვი, ზაგორი, ლეკარდი, მალაია და ველიკაია დობრონი, ბატევო, ზასონი და რკინიგზის სადგურები ჩარნოვცე, ბატფა, ბარკასოვო, ბატევო, შომ.-კოსინო.

უნგრეთში ქალაქ სატუ-მარეს დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ნად-

(დასასრული მე-4 გვ.).

განთავისუფლებულ რიგაში. მცხოვრებლები სიხარულით ეგებებიან წითელი არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს.

ფოტო ს. ბორდუშკინისა და ტუკინისა (საგუნის ფოტოქრონიკა)

კომკავშირელები ასრულებენ ბელადისადმი მიცემულ ფიცს

ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის XXVI წლისთავის დღეს ჩვენი ფრონტის კომკავშირლები და ახალგაზრდობა შეაჯამებენ იმ დიდ მუშაობას, რომელიც გასწიეს მათ ამხანაგი სტალინისადმი მიცემული ფიცის შესასრულებლ

ნაწილის კომორგი უფროსი ლეიტენანტი ამხ. კროლი სწერს რედაქციას:

„ასრულებენ რა ბელადისადმი მიცემულ ფიცს, ჩვენი ავიანაწილის მებრძოლები ავიჩვენებენ სწავლაში შეუპოვრობისა და ოსტატობის მაგალითებს. კომკავშირელი ფადეევი გახდა საუკეთესო მფრინავი, თავისი იარაღის ოსტატი. მან საბრძოლო სტაჟირობის დროს საჰაერო ბრძოლებში პირადად ჩამოაგდო მტრის ორი თვითმფრინავი. იგი ახალგაზრდა მფრინავების გამოცდილი აღმზრდელია. ამას წინათ მას რიგგარეშე მიენიჭა სამხედრო წოდება.

მფრინავთა კადრების ჩინებული მომზადებისათვის კომკავშირელები—ბორობოსი, დენისოვი, სამოილოვი და კრეტინინი მთავრობის ჯილდოს ღირსნი გახდნენ. ჩვენს კომკავშირის ორგანიზაციასაც წილი მიუძღვის იმაში, რომ ნაწილის აღზრდილთა შორის არიან 14 საბჭოთა კავშირის გმირი, სამგზის გმირი ალექსანდრე პოკრიშკინი, ორგზის გმირები კამოზინი, რეჩკალოვი, გლინკა და სხვ.“.

ეხმარებიან რა სარდლობას, ჩვენი ფრონტის კომკავშირლები ქწევიან ხერიოზულსა და მრავალფეროვან მუშაობას ახალი შევსების მებრძოლებთან.

—ახალი შევსების უმეტესობა. —სწერს უფროსი ლეიტენანტი შუმსკი,—კარგად დაეუფლა თავის სამხედრო სპეციალობას. ისინი გაიზარდნენ პოლიტიკურად, თვალყურს ადევნებენ ფრონტების მდგომარეობას, ერკვევიან პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში, გაეცნენ კომკავშირის ისტორიასა და ტრადიციას. ჩვენს შენაერთში 150-ზე მეტი მოწინავე მებრძოლი მიღებულია კომკავშირის რიგებში.

მასობრიობა, კავშირგარეშე ახალგაზრდობის ყოველდღიური აღზრდა მტკიცედ დამკვიდრდა კომკავშირული ორგანიზაციათა უმეტესობის მუშაობის პრაქტიკაში. კომკავშირელ წამკითხველების და აგიტატორების დიდი არმია ახალგაზრდობას შორის ატარებს კითხვასა და საუბრებს. ხშირად ეწყობა კომკავშირული ღია კრებები, ლიტერატურული საღამოები, მოხსენებები და ლექციები.

—ჩვენს ქვეგანაყოფში,—სწერს უფროსი სერჟანტი კუზმენკოვი,—ალკკ XXVI წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით საუკეთესო აგიტატორებმა და წამკითხველებმა—პრავილნიკოვმა, პუგაჩოვმა, მოგილევცევმა, კლენოვმა ახალგაზრდებს შორის ჩაატარეს საუბრები სახელოვანი იუბილეს მნიშვნელობაზე, ფრონტზე კომკავშირის ტრადიციასა და ისტორიაზე, ზურგში კომკავშირელთა შრომითი მამაცობაზე. ახალგაზრდობას ასწავლიან ახალ სიმღერებს. კომკავშირელები სათავეში უდგანან სპორტულ შეჯიბრებისათვის სამზადისს, წითელარმიულ მხატვრულ თვითმოქმედებას და სხვ.

იბრძვიან რა თავიანთ ქვეგანაყოფების ღირსებისათვის, კომკავშირელები აქტიურად ეხმარებიან მეთაურებს, რათა მთელმა პირადმა შემადგენლობამ მოიპოვოს წარჩინებული წარმატებანი. ისინი ეწევიან ინდივიდუალურ მუშაობას ჩამორჩენილებთან. გასული წლის დამლევს,—სწერს ზემდეგი ნეჟნოვი,—ჩვენს ქვეგანაყოფში მოვიდა ახალგაზრდა მებრძოლი ამხ. პეტროსიანი. მან ცუდად იცოდა რუსული ენა და საბრძოლო სწავლაშიც ჩამორჩებოდა. კომკავშირელმა სანიაძმა იმ თავითვე ყურადღება მიაქცია ამხ. პეტროსიანს და კიდეც დაეხმარა, რომ იგი კარგი მეომარი გამხდარიყო. ამას წინათ, პეტროსიანი მიღებულ იქნა კომკავშირის რიგებში. ჩინებული საბრძოლო მომზადებისათვის მას მიენიჭა სერჟანტის წოდება. ასეთივე დახმარება აღმოუჩინა კომკავშირელმა ამხ. ნეჩაევმა ახალგაზრდა მებრძოლს ტიმოფეევს. ამჟამად ასეულის კომკავშირის ორგანიზაცია წარმოადგენს მეთაურის საიმედო თანაშემწეს. საინსპექტორო შემოწმებაზე ასეულმა მიიღო საუკეთესო შეფასება. კომკავშირელთა 75 პროცენტმა კარგი შეფასება მოიპოვა.

აჯამებენ რა ერთი წლის მანძილზე თავიანთი საქმიანობის შედეგებს, კომკავშირული ორგანიზაციები ერთდროულად ამხელენ ნაკლოვანებებს, სახავენ კავშირგარეშე ახალგაზრდობასთან ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების, კომკავშირული აქტივისა და მთელი ახალგაზრდობის იდეური აღზრდის გაუმჯობესების გზებს.

ამაღლებენ საბრძოლო ოსტატობას

ქვეგანაყოფში, სადაც პარტორგად ამხ. ი. ოსიკაშვილი მუშაობს, მებრძოლთა უმეტესობა საბრძოლო და პოლიტმომზადების ფრიადოსნები არიან. ისინი დაუღალავად იბრძვიან იმისათვის, რომ კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით შეხვდნენ ოქტომბრის რევოლუციის XXVII წლისთავს. ქვეგანაყოფში თავიანთი უნარიანი მუშაობით გამოირჩევიან ოფიცრები: ჩხიკვაძე, გეგეჭკორი, ჯოხაძე და სხვ. რომლებმაც თავიანთი ქვეგანაყოფები მოწინავეთა რიგებში ჩააყენეს. მთელ ნაწილში ცნობილნი არიან აგრეთვე უფროსი სერჟანტები გ. ქვარია და ა. რატია, სერჟანტები ოსიკაშვილი, დემეტრაშვილი, ჯაშიაშვილი და სხვ. ეს ამხანაგები დღე და ღამე თავიანთ მებრძოლებთან არიან და გულმოდგინედ წვრთნიან მათ ვერაგ მტერთან შესახვედრად.

ამას წინათ ქვეგანაყოფმა საცარჯიშო სროლა ჩაატარა, რომელმაც მებრძოლთა მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა. ამ დღეს მებრძოლებმა მიქაუტაძემ, მაისაშვილმა, გოგიაშვილმა, ტატუნაშვილმა და სხვ. შაშხანის სროლაში ფრიადი შეფასება მიიღეს. ეს ამხანაგები ასევე კარგად ეუფლებიან ხელჩართული ბრძოლის ხერხებს, გრანატის ტყორცნას, სამწყობრო აქმეს. ყველაფერი ეს მიღწეულია ხანგრძლივი და დაუღალავი მეცადინეობით. ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობა მიღწეულით არ კმაყოფილდება, იგი ყოველდღიურად სრულყოფს მეომრულ ხელოვნებას, ყოველ ნაბიჯზე იყენებს გვარდიელთა მდიდარ საბრძოლო გამოცდილებას.

უფროსი სერჟანტი

კ. ბეშიტაიშვილი

შევინარჩუნებთ გვარდიული წითელ დროშას

კაპიტან გ. გოგოძის ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობა დაუღალავად იბრძვის, რათა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადების მაღალი მაჩვენებლებით აღნიშნოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი და მტკიცედ შეინარჩუნოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მას ამას წინათ გადაეცა.

მებრძოლები არ კმაყოფილდებიან მარტო იმ მასალის შესწავლით, რაც სასწავლო ცხრილშია გათვალისწინებული, სადამოს საათებში ისინი დამატებით კითხულობენ სამხედრო ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ სამხედრო სტატიებსა და ფრონტელი ამხანაგების რჩევა-დარიგებებს.

სისტემატიურად ტარდება მეცადინეობა აგრეთვე იმ ამხანაგებთან, რომლებსაც ზოგიერთ დისციპლინაში ჩამორჩენა აქვთ. მაგალითად მებრძოლები ჩოჩიევი და დვალი იმის გამო, რომ კარგად არ იცნობენ გაუარჯიშებულების დამიზნებაში, ცუდად ისროდნენ, გარდა ამისა, ისინი ზერელედ იცნობდნენ შაშხანის და ხელის ტყვიამფრქვევის მატერიალურ ნაწილს. ახლა მათ სისტემატურად მეცადინეობენ ფრიადოსანი სერჟანტები. თავისუფალ საათებში ისინი გადიან ველზე და ვარჯიშობენ დამიზნებაში. უკვე ამ მებრძოლებს შაშხანის მომარჯვება წოლით სროლის დროს, კონდის დაყენება, სასხლეტის მოქაჩვა და სხვა ილეთები, რომლებიც აუცილებელია ზუსტი სროლისათვის. ასეთმა მეცადინეობამ სასურველი შედეგი გამოიღო. ამის წინათ ჩატარებული სროლის დროს ამხ. ჩოჩიევმა და დვალმა მიზანი ზუსტად დაიზიანეს.

ქვეგანაყოფში გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს აგრეთვე საცხოვრებელი ბინისა და ეზოს სადღესასწაულოდ გაფორმებისათვის. უკვე დაწყებულია საცხოვრებელი ბინის რემონტი. მზადდება ლოზუნგები, პლაკატები, ამასთან ერთად ბინის ირგვლივ რგავენ დეკორატიულ მცენარეებს და სხვ.

ზემდეგი მ. ცირდავა

კლუბი სადღესასწაულოდ ემზადება

ჩვენი ნაწილის წითელარმიული კლუბი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის გაცხოველებით ემზადება. კლუბთან არსებული წითელარმიული თვითმოქმედი წრეები ამზადებენ ახალ სადღესასწაულო ნომრებს. დრამატული წრე, რომელსაც ამხ. გ. ცაბაძე ხელმძღვანელობს, ამზადებს სუხოდოლსკის ერთმოქმედებიან პიესას „სულელს“. მომღერალთა გუნდი წითელარმიელ თათვაძის ხელმძღვანელობით სწავლობს ახალ სიმღერებსა და ცეკვებს. ოქტომბრის დღეებში ისინი გამართავენ რამდენიმე კონცერტს.

ამჟამად კლუბის აქტივი მუშაობს დარბაზის მხატვრულ გაფორმებაზე. მზადდება პლაკატები, მაკეტები, დიაგრამები, სქემები წითელი არმიის გმირული შეტევის შესახებ, დაფა სამამულო ომის გმირების სურათებით და სხვ. გარდა ამისა, დაფაზე გაკრული იქნება ჩვენი ნაწილის იმ მებრძოლებისა და სერჟანტების სურათები, რომელთაც საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ფრიადი მაჩვენებლები აქვთ.

უმცროსი სერჟანტი გ. ბესოშვილი

ლაპარაკობენ კარპატებში ბრძოლების მონაწილენი

ნაღმსატყორცნით მთებში

მე მომიხდა მთებში ბრძოლა ჯერ კიდევ კავკასიის დაცვის დროს. ჩვენი ნაწილი მოქმედებდა დინლუზ-ორჯონის რაიონში. და ჩვენ, ნაღმმტყორცნელებმა მაშინ გავიგეთ მთებში ომის მთელი სირთული. ძლივს დაფარულ ულელტეხილებზე ხელით გადაგვქონდა მატერიალური ნაწილები, ვსწავლობდით მოხერხებული საცეცხლე პოზიციების შერჩევასა და მტერზე ზუსტი ცეცხლის დაშენას. იქ დავადასეთ ჩვენი იარაღი, რომლის დახმარებით შეიძლება ამოაგდო მტერი ყოველგვარ საფარიდან, ვიწრო ხევრელიდანაც კი.

კარპატებზე ნაღმმტყორცნელები საუცხოოდ გრძნობდნენ თავს. ჩვენ აქ გამოცდილებაც შევიძინეთ. ბევრი ვიშრომეთ გზაზე—კავკასიიდან კარპატებამდე.

მთავარი, რაც კი ჩვენ გვიკარნახა ახალმა გამოცდილებამ, ეს იყო ის, რომ გვემოქმედა ქვეითი ჯართან მოუწყვეტლად, არ ჩამოვრჩენილიყავით მისგან, სწრაფად შეგვესრულებინა მისი დავალებანი. ამისათვის გვაფასებდნენ ქვეითი ჯარისკაცებიც.

ადვილი სათქმელია—არ ჩამორჩე ქვეითი ჯარს. ქვეითი ჯარისკაცები მიცოცავენ ფერდობებზე, ფრიალო კლდეებზე. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ, ისინი იოლად სძლევდნენ ამას. ჩვენ გვქონდა მძიმე ნაღმსატყორცნი, სართავი, ჰურვის ყუთი. მიუხედავად ამისა, არ ჩამოვრჩით მათ. ნაღმსატყორცნს სწრაფად ვშლიდით და ნაწილებად მიგვქონდა. იქ, სადაც ნაღმსატყორცნის ნაწილების წაღება არ შეიძლებოდა, მას თოკებით ვეზიდებოდით. თოკს გადავაგდებდით ხოლმე ხეზე ან კლდის შვერილზე და ზევით ვეწეოდით. დანარჩენ ნაღმმტყორცნელებს მოჰქონდათ ნაღმები.

ერთი შეხედვით ყოველივე ეს არ არის ძნელი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში არც თუ ისე იოლია, იმისათვის, რომ ყოველივე ეს გაკეთდეს ფაციფუცის გარეშე, საჭიროა კარგი წვრთნა. ჩემს გუნდში იყო საუკეთესო წესრიგი, ეს იმიტომ, რომ თვითეულმა ნაღმმტყორცნელმა ზუსტად იცის თავისი მოვალეობანი: ვინ რა ნაწილი უნდა წაიღოს, ვინ უნდა მიამაგროს თოკი, ვინ უნდა აწიოს პირველი, მეორე, რა უნდა ქნას, როცა თოკი გაიცვითება და სხვ. ყველაფერი კეთდება უხმაუროდ, კარნახისა და სჯა-ბაასის გარეშე. მე აკრძალული მქონდა ლაპარაკი მუშაობის დროს: ზუსტად შეასრულე ყოველივე, რაც კი გევალება.

ამიტომ ხშირად უკვირდათ მსროლელებს, რომ ჩვენ ნაღმმტყორცნელები, არ ჩამოვრჩებოდით, კვალდაკვალ მივსდევდით მათ. აი, მაგალითად, მსროლელები ავიდნენ მაღლობზე და ჩვენც იქვე გავჩნდით. დაუყოვნებლივ ვირჩევთ საცეცხლე პოზიციას, ნაღმსატყორცნს ვამზადებთ ბრძოლისათვის, არც ერთ წუთს არა ვკარგავთ, ვიწყებთ ჩასანგრებას.

მთებში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩასანგრებას. ნაღმსატყორცნს გერმანელი ყოველთვის ძლიერ ცეცხლს უშენს, ცდილობს ჩაახშოს იგი ჰაერიდანაც. ამიტომ მთებში ნაღმსატყორცნი ყოველთვის სწრაფად და კარგად უნდა შეინიღბოს.

უფროსი სერჟანტი კ. პერეპელიცა

ჯარიალი

სამარედ ექცა შენი კიდენი,
[illegible] ამ ფეხს ვერ [illegible].
მტრის სისხლით იყო კლდენი წითელი,
ხმლით დარიალის ვეფხი მისდევდა.
როცა გაქუხებმა სხივთა ჩქერები
[illegible] სტყორცნა დღეს ხუდარიანს,
[illegible] მახვილს ფხით აკვეთებდი
და მტერი ვერორ გრეხდა დარიალს.
შენ გაგიმათა მზემა ნათელში
[illegible] მეურიან ამაყი მთები,
შენ კავკასიონი დიდმა ქარიშხლებმა
[illegible] არწივის ფრთები.
როდესაც მტერზე რისხვით ასხლტი,
სამაგეთ ნიაღი გარს მოხვეული,
შენ [illegible] დიდი ყაზბეგი,
[illegible] ხმა მოხვეული.
[illegible] მტერს რომ ლახვრავდი,
[illegible] მზრძოლთა შენ აიცემდი..
[illegible] გადახვეული,
[illegible] მოწმენდილის.
[illegible] არის ბევრი ბიჭის მჯახველი
[illegible] მრავალ მტერს ხელი დარია.
[illegible] მხარი გმირის სახელი,
[illegible] დასძლევს მტერი დარიალს.

ირ. აბაშელი

კარგი აღმზრდელი

[illegible] კარგი თვისება აქვს ოფიცერ თული-[illegible], როცა მებრძოლებთან საუბარს ჩაატა-[illegible], იდუმალებლად შეეკითხება მსმენე-[illegible]—გაიგეთ"?!, მაგრამ მარტო ამ შე-[illegible] არ კმაყოფილდება და [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] იყო ამის წინათაც. სოუბ-[illegible] დროს [illegible] ზურაგიამ ვერ [illegible] რა არის „კლასი" და „ინტელიგენცია". [illegible] თულაშვილმა ხელახლა განმარტა ეს სა-[illegible] და [illegible] კმაყოფილი დარჩა. [illegible] [illegible] ინტერესს იწვევს მებრძოლთა [illegible] განაგებისათ. იგი ყოველ საუბრის [illegible] [illegible] გამბადება და მხოლოდ ამი-[illegible] [illegible] მებრძოლთა წინა-[illegible], როგორც აგიტატორი.

[illegible] ხანი არ არის, რაც ოფიცერმა თუ-[illegible] ქვეგანაყოფში წაიკითხა მოხსენება [illegible] „[illegible] პარტია გერმანულ [illegible] დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის [illegible] ორგანიზატორია". მან დამაჯერებ-[illegible] დაასაბუთა, რომ ბოლშევიკების [illegible] დაკავშირებული მასებთან, ხალხთან, იგი მა-[illegible] ორგანიზატორია. [illegible] ამიტომ გაი-[illegible] ბოლშევიკებმა სამოქალაქო ომის [illegible], ამიტომ გაიმარჯვებენ დღესაც [illegible] გერმანიასთან ბრძოლაში.

[illegible] თულაშვილი თავისი საუბრებითა და [illegible] დიდად ეხმარება მებრძოლებს [illegible] და პოლიტიკური დონის ამაღლების [illegible].

[illegible] ლეიტენანტი ზ. ბერძენიშვილი.

ნ. გ. ჩერნიშევსკი

გარდაცვალების 55-ე წლისთავისათვის

ორმოცდათხუთმეტი წლის წინათ—1889 წლის 29 ოქტომბერს გარდაიცვალა ნ. გ. ჩერნიშევსკი, დიდი რუსი მოაზროვნე, რევოლუციური დემოკრატი და სოციალისტი.

ჩერნიშევსკი დაიბადა 1828 წელს ქალაქ სარატოვში. სასულიერო სემინარიაში სწავლა მას ვერ აკმაყოფილებდა და ამიტომ იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა. შეუპოვარი მუშაობის შედეგად მან არაჩვეულებრივად ფართო ცოდნა შეიძინა. იცოდა ძირითადი ევროპული ენები, აგრეთვე ლათინური, ბერძნული, პოლონური და თათრული, მუშაობდა სპარსული, არაბული და ძველი ებრაული ენების შესასწავლად. მისი სტატიები ჟურნალ „სოვრემენიკში" აღსავსე იყო იმ დროს არსებული მშრომელთა ინტერესების საწინააღმდეგო წესების, შეხედულებებისა და თეორიების მკაცრი კრიტიკით. ამ სტატიებმა, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს საზოგადოებაზე, რევოლუციური ბრძოლისაკენ მოწოდება გაისმოდა.

მეფის სატრაპებს არ შეეძლებოდა არ შეემჩნიათ ჩერნიშევსკის რევოლუციური მოღვაწეობა. 1862 წელს იგი დააპატიმრეს, ორ წელიწადს პეტრე-პავლეს ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული და შემდეგ კატორღაში გაგზავნეს. მაგრამ ვერც საპყრობილემ, ვერც იაკუტიაში მრავალი წლით გადასახლებამ ვერ გასტეხა ამ ადამიანის ბრძოლის ნებისყოფა. იგი თავის სიცოცხლის დასასრულამდე რევოლუციური საქმის ერთგული დარჩა.

ჩერნიშევსკი მახლობელი და ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის, როგორც ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი საუკეთესო შვილი, რომელიც ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის იბრძოდა. ჩერნიშევსკი ჭეშმარიტად იყო მოწინავე რუსი ინტელიგენციის ფიქრთა მპყრობელი. მისი ნაწარმოებები „რა ვაკეთოთ" და „პროლოგი" ამჟამადაც უდიდესი ინტერესით იკითხება.

გენიალური რუსი მოაზროვნისა და 60-იანი წლების რევოლუციური დემოკრატიის ბელადის პიროვნება ყოველ მხრივ შესანიშნავი იყო.

მარქსი ამბობდა, რომ ჩერნიშევსკის შრომები პატივს სდებენ რუსეთს. იგი რუსულ ენას სწავლობდა, რათა ჩერნიშევსკის ნაწარმოებები წაეკითხა. ნ. გ. ჩერნიშევსკიმ ჩვენი სამშობლოს სხვა გამოჩენილ შვილებთან—ბელინსკისთან, გერცენთან და დობროლიუბოვთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთო-საკაცობრიო კულტურაში.

ჩერნიშევსკიმ იცოდა, რომ რუსეთის მთავარი მტერი იყო ბატონყმობა, მეფის თვითმპყრობელობა, ამიტომ იგი სათავეში ჩაუდგა რევოლუციური დემოკრატების ბრძოლას ბატონყმობის წინააღმდეგ და თავის ნაწარმოებებში თანმიმდევრულად ატარებდა გლეხთა რევოლუციის იდეას. მის მოღვაწეობას მკაფიო მიმართულება ჰქონდა. ეს იყო ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლების ხალხის ხელში გადასვლისათვის.

ჩერნიშევსკი არა მარტო დიდი დემოკრატი იყო, არამედ ლენინის გამოთქმით, „დიდი რუსი სოციალისტიც". რუსეთის მუშებმა და გლეხებმა განაგრძეს ის განმათავისუფლებელი, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა, რომელსაც 60-იან წლებში ჩერნიშევსკი ედგა სათავეში. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მათ წინ გასწიეს სოციალისტური გზით და განახორციელეს ის იდეალები, რომლებზეც იგი ოცნებობდა.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ჩერნიშევსკიმ თავის ერთ-ერთ წერილში განაცხადა: „მე კარგად ვემსახურე ჩემს სამშობლოს და უფლება მაქვს მოველოდე, რომ იგი ჩემი მადლიერი იქნება." ჩვენს ქვეყანაში ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელი ძვირფასია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის. და უმაღლესი ფორმა ამ მადლიერებისა, რომელზეც იგი ლაპარაკობდა, ჩვენს დროს იმაში მდგომარეობს რომ ხალხმა ჰიტლერულ გერმანიასთან გააფთრებულ ბრძოლაში დაიცვა სიდიადე და თავისუფლება სამშობლოსი, რომლის ბედნიერებისათვისაც შრომობდა და რომელსაც თავისი სახელოვანი სიცოცხლე შესწირა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ.

პროფ. პ. ვ. ბაზილევიჩი

(გაგრძელება*)

გერმანელი სამხედრო ისტორიკოსები ან სდუმდნენ რუსული სამხედრო ხელოვნების განვითარების შესახებ, ან კიდევ იძლეოდნენ ყალბსა და დამახინჯებულ წარმოდგენას. 1812 წელს რუსების მიერ მოპოვებულ წარმატებებს კლაუზევიცი მიაწერდა ბედნიერ გარემოებათა დამთხვევას და რუსეთის სარდლობასთან სამსახურში მყოფ გერმანელ ოფიცერთა რჩევა-დარიგებას. ამავე დროს კი მათი რჩევა-დარიგება არარა იყო ან კიდევ უარყოფითს შედეგს იძლეოდა. არ ესმოდა რა რუსული სამხედრო ხელოვნების არსი, კლაუზევიცი სუვოროვს უწოდებდა „ბუნების გაუთლელ ადამიანს". გერმანელი ავტორები ტყავიდან ძვრებოდნენ და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ რუსული სამხ[illegible] ხელოვნება განვითარდა არა საკუთარ მიღწევათა და ისტორიულ ტრადიციათა საფუძველზე, არამედ უც[illegible]ის გამოცდილების გადმოღებით.

ნამდვილად კი **რუსული სამხედრო ხელოვნება, რომელიც ეურჩნობოდა სამხედრო პროგრესის მიღწევებს, მიდიოდა თავისი, ნაციონალური გზით და მან უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპულ სხვა არმიების სამხედრო ხელოვნებაზე. მსოფლიო სამხედრო ხელოვნების ძირითადი ხაზის განვითარება XVIII საუკუნიდან XIX საუკუნისაკენ მიდიოდა ნაპოლეონთან პეტრე დიდისა და სუვოროვისაგან და არა ფრიდრიხისაგან.**

III

1812 წლის სამამულო ომმა უდიდესი გავლენა იქონია რუსეთის ჯარების ბრძოლო აღზრდაზე. მაგრამ რუსეთის ბატონყმური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიური სისტემის საერთო ჩამორჩენილობას არ შეეძლო არ ემოქმედა რუსული სამხედრო ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე.

ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა ახშობდა [illegible] როლს [illegible] ცნობიერებისა და კულტურის ყველა დარგში, მათ შორის სამხედრო საქმეშიც. ალექსანდრე I მეფობის მეორე ნახევარში არაკჩეევის მეცადინეობით გერმანულ-პრუსიული ნიმუშის მიხედვით შემოღებული იქნა სასტიკი ცემა-ტყეპის სისტემა. ეს კი ნიშნავდა [illegible] [illegible] აღზრდის სულისკვეთება წესრიგთან. დეკაბრისტების ამბოხების შემდეგ ეს რეჟიმი, რომელიც ახშობდა ადამიანურ გრძნობებს ჯარისკაცისა და ოფიცერში, არმიისათვის გახდა საერთო წესი ნიკოლოზ I მეფობის მთელი დროის განმავლობაში. ამ რეჟიმის დამღუპველმა შედეგებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს ჯარისკაცთა და ოფიცერთა შემადგენლობის აღზრდასა და სამწყობრო სწავლების სისტემაში, რომლის მთავარი მიზანი, ნაცვლად საბრძოლო მოთხოვნების დაკმაყოფილებისა, იყო მოჩვენებითი საპარადო გარეგნობა. ინიციატივის ყოველგვარ გამოვლინებას ძირშივე ახშობდნენ. ტაქტიკურ სწავლების დროს შემოღებული იყო შაბლონური საბრძოლო წყობილება, ადგილმდებარეობისა და ვითარების თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. 1812 წლის ვეტერანები თანდათანობით მიდიოდნენ არმიიდან. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული გენერალთაგანი იყო ა. პ. ერმოლოვი. არმიიდან წასული მეთაურების ადგილზე მოვიდნენ გონებაჩლუნგი და მცირე განათლების მქონე ადამიანები, რომელნიც სარგებლობდნენ მეფის მთავრობის განსაკუთრებული ნდობით.

თანდათანობით მატულობდა რუსეთის არმიის ტექნიკური ჩამორჩენილობაც. იგი უფრო თვალსაჩინო შეიქნა XIX საუკუნის შუახანებში, როდესაც დასავლეთ ევროპის არმიები გადაიარაღდენ ხრახნულსა და სწრაფსასროლ იარაღზე. ეს უკანასკნელი დიდი დაგვიანებით შემოიღეს რუსეთის არმიაში.

რუსეთის არმიის ყველა ეს უარყოფითი მხარეები მთელი სიგრძე-სიგანით გამომჟღავნდა 1853-1856 წლ. ომის დროს. მაგრამ სევასტოპოლის თერთმეტთვიანმა გმირულმა დაცვამ ამავე დროს უჩვენა მთელ მსოფლიოს, რომ მტრების მიერაც კი აღიარებული რუსი ჯარისკაცის საბრძოლო თვისებები — უსაზღვრო გმირობა, მამაცობა, ამტანიანობა, სიმტკიცე, დისციპლინა, თავდადება მოვალეობისადმი ძველ სიმაღლეზე იყო დარჩენილი.

ომის შემდეგ, სამოციან წლებში, ბურჟუაზიული რეფორმებისას, რუსეთის მოწინავე სამხედრო მოღვაწეებს საშუალება მიეცათ შესდგომოდნენ არმიის გარდაქმნას. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა სამხედრო მინისტრმა **დ. ა. მილიუტინმა**. 1861 წ. მილიუტინმა მეფეს მოხსენება წარუდგინა, რომელშიაც მოცემული იყო ფართო სამხედრო რეფორმების გეგმა. ამ სამხედრო რეფორმების მიზანს წარმოადგენდა ჯარისკაცისა და ოფიცრის კულტურული დონისა და მორალური სულისკვეთების ამაღლება, ბრძოლა თვითნებობასთან, კანონიერებისა და წესრიგის შემოღება, ინიციატივის გაძლიერება, რაც ჩახშობილი იყო მმართველობის ბიუროკრატული სისტემის მიერ. მილიუტინს მოუხდა მრავალწლიანი ბრძოლის გადატანა გენერალიტეტისა და სამინისტროს რეაქციულ შემადგენლობასთან. მხოლოდ გასაოცარი შეუპოვრობის შედეგად შესძლო მან თავისი გატანა და მეფეს დაემტკიცებინა დასახულ ღონისძიებათა უპირატესობა, მათ შორის მოსახლეობისათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღება (1874 წ.). ყოველწლიური გასაწვევი კონტინგენტის გადიდებისა და სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებასთან დაკავშირებით შეიქმნა სათადარიგო რეზერვი. ეს კი საჭირო იყო არმიის სამობილიზაციო მზადყოფნისათვის და ომის დროს დანაკლისის შევსებისათვის.

მილიუტინი იყო გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე, რომელსაც ახასიათებდა უდიდესი ადმინისტრაციული ნიჭი. **მის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა რუსეთის არმია ორგანიზაციულობის მხრივ აიყვანა იმ დონეზე, რომელზედაც იდგნენ ევროპული საუკეთესო არმიები და შექმნა პირობები რუსულ სამხედრო ხელოვნების აღორძინებისათვის.**

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

*) იხ. „კ. ი." №№ 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 118.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
28 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა
(დასასრული)

დობოში, პუსტა-დობოში, მატესალკა, ხოდასი, ნიირ-ბატორი, ნიირ-ბოგატი და რკინიგზის სადგურები ნად-დობოში, მატესალკა, ნიირ-ბატორი, ნიირ-ბოგატი,

იუგოსლავიის ტერიტორიაზე ბელგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი და რკინიგზის სადგური აპატინი (დუნაიზე), ქალაქი და რკინიგზის სადგური რუმა, დიდი დასახლებული პუნქტები კუპუსინა, სვილოშევო, ზონტა, კარავუკოვო, ბაჩი, ტოვარიშევო, კლენაკი, გრაბოვცი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

27 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 112 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 52 თვითმფრინავი.

* *

კარელიის ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას განაგრძობდნენ. ერთ-ერთ სექტორზე კირკენესის რაიონში ჩვენმა ჯარებმა გერმანელთა გარნიზონი გაანადგურეს. მოწინააღმდეგეს წავართვით 9 თვითმფრინავი, 6 სახაზღვრო ქვემეხი, 4 საზენიტო ქვემეხი, 2 ჯავშანტრანსპორტიორი, 5 ათასამდე ავიაბომბი, 10 ათასი ნაღმი, საწვავის საწყობი და სხვა [illegible]. სხვა რაიონში გერმანელებმა დესანტი გადმოსხეს [illegible]. საბჭოთა მზვერავების რაზმმა ჰიტლერელები გაძლიტა და ხელთ იგდო 800 ტონა წყალწყვის გემი. მოწინააღმდეგემ ერთხელ კიდევ სცადა გადმოესხა დესანტი, მაგრამ 60 ჯარისკაცი რომ დაჰკარგა მოკლულთა სახით და 10 ტყვეთა სახით, სასწრაფოდ დაიხია უკან.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი ჯარები, რომლებმაც ქალაქი უჟგოროდი დაიკავეს, შეტევას განაგრძობდნენ. საბჭოთა ნაწილებმა მტრის რამდენიმე გარნიზონი გაანადგურეს, ტყვედ წამოიყვანეს 1.000-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 33 ქვემეხი, 75 ნაღმსატყორცნი, 60 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე საწყობი საომარი მასალითა და სურსათით. გვარდიის 5 მექანიზირებული ნაწილები, რომლებიც მდინარე ტისის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ უტევენ, ქალაქ და დიდ სარკინიგზო კვანძ ჩოპის მისადგომებთან გავიდნენ. ჰიტლერელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ დასახლებულ პუნქტს და მის მისადგომებზე თავდაცვითი ზღუდეები მოამზადეს. მათ აგრეთვე ააფეთქეს ყველა ხიდი და გზაჯვარედინი. მოწინააღმდეგემ ახალი ძალებით შეავსო თავისი შეთხელებული დივიზიები და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა. ჩვენი ჯარები სძლევენ მტრის წინააღმდეგობას, იგერიებენ მის კონტრიერიშებს და ბრძოლებით მიიწევენ წინ.

* * *

უნგრეთის ქალაქ სატუ-მარეს დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა 10 კილომეტრით წაიწიეს წინ. მოსპობილია მტრის 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. 400-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი წამოყვანილია ტყვედ. ერთ უბანზე მტრის ქვეითი ჯარის ბატალიონი კონტრიერიშზე გადმოვიდა. სწრაფი საცეცხლე დარტყმით საბჭოთა მებრძოლებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე, დაედევნენ მას და ხელჩართულ ბრძოლაში დაიჭირეს. ამ ბრძოლაში სანიმუშო რიგითმა მებრძოლმა ზაიცევმა 15 ჰიტლერელი მოკლა. მამაცობისა და გულადობის მაგალითი გვიჩვენეს მებრძოლებმა [illegible] და ტოკარევმა. ისინი მოწინააღმდეგის სანგრებში შეიჭრნენ, მტრის ჯარისკაცთა ჯგუფი გაჟლიტეს და 12 უნგრელი ტყვედ წამოიყვანეს.

იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად, ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. გერმანელები განდევნილი არიან ქალაქ აპატინიდან (დუნაიზე) და ქალაქ რუმიდან (26 კილომეტრზე ქალაქ ნოვი სადის სამხრეთით). დღის განმავლობაში მოსპობილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დიდი ალაფი და ტყვეები.

გერმანელთაგან განთავისუფლებული დასახლებული პუნქტების მოსახლეობა დიდი სიხარულით ხვდება წითელი არმიისა და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებს.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტი. ავიაცია ერთგულად მოწინააღმდეგის გემებს ჩრდილოეთ ნორვეგიის ფიორდებში. ჩაძირულია მოწინააღმდეგის 5 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი, საპატრულო ხომალდი და 9 მოტობოტი. გარდა ამისა დაზიანებულია გერმანელთა 2 ხომალდი.

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მფრინავებმა ლიბავის ნავსადგურში ჩაძირეს მოწინააღმდეგის ტანკერი. სერიოზულად დაზიანებულია გერმანელთა სხვა ტრანსპორტები რომლებიც გემთსადგომებთან იდგნენ.

მოსკოვის ეკრანებზე უჩვენებენ ახალ ამერიკულ ფილმს „სიმღერა რუსეთზე"

19 ოქტომბერს მოსკოვის კინოთეატრების ეკრანებზე დაიწყო დემონსტრირება ახალი ამერიკული მხატვრული ფილმისა „სიმღერა რუსეთზე". კინოსურათი ასახავს ღრმა სიმპატიის გრძნობას, რომლითაც ამერიკელი ხალხი გამსჭვალულია საბჭოთა კავშირისადმი.

სურათის გმირი-სახელგანთქმული ამერიკელი დირიჟორი მეროდიტი საგასტროლოდ ჩამოდის საბჭოთა კავშირში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი თავის თანამემამულეებს უამბობს, თუ რა ბედნიერად ცხოვრობდა საბჭოთა ხალხი, ვიდრე მას ვერაგულად დაესხმოდა თავს ჰიტლერული გერმანია, და რა მამაცურად იბრძვის იგი დღეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ახალ ამერიკულ ფილმს მოსკოველები გულთბილად შეხვდნენ. (ტასი).

კალენდარი
ოქტომბერი 29
კვირა

1889—გარდაიცვალა დიდი მოაზროვნე და მწერალი ნ. გ. ჩერნიშევსკი (დაიბ. 1828 წ.).

1917—ვ. ი. ლენინის მონაწილეობით შესდგა ბოლშევიკების პარტიის ც. კ-ის სხდომა, რომელზედაც არჩეულ იქნა პარტიული ცენტრი სტალინის მეთაურობით აჯანყების ხელმძღვანელობისათვის.

1918—გაიხსნა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრ. რუსეთის I ყრილობა კომკავშირის დაარსება.

საზღვარგარეთ

უინსტონ ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ჩერჩილი თემთა პალატაში გამოვიდა განცხადებით მოსკოვის მოლაპარაკების შესახებ. ჩერჩილმა სთქვა:

„ომის ბოლომდე სტადია წააგავს და ძნელია, და შეიძლება მოველოდეთ, რომ ბრძოლები ყველა ფრონტზე გაძლიერდება მასშტაბებითა და ინტენსივობით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკანასკნელ ეტაპზე ვიმყოფებით. მაგრამ ეს ისეთი შეჯიბრებაა, რომელშიც, ჩვენი ლონისძიებების ზოლომდე უკიდურესი დაძაბვის გარეშე, ეს დასასრული შეიძლება გაგრძელდეს ისეთ საზღვრებამდე, რომლებიც თითქმის მიუთმენელია ამათთვის, ვის ხელშიც ამჟამად იმყოფება ინიციატივა ქსოვენ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ.

მტერს ორი იმედი აქვს. ერთი, იმის იმედი, რომ ბრძოლის გახანგრძლივებით მას შეეძლია დაარღვიოს ჩვენი განწყობილება. მეორე—და უფრო დიდმნიშვნელოვანი იმედი,—ეს არის იმედი უთანხმოებისა წარმოშობისა მასზე იერიშის მიმტან სამ დიდ სახელმწიფოთა შორის, ვისი ერთსულოვნებაც, რომელიც ბრძოლებს, მას ზედ სწვდება". „ამ მტრის დიდი იმედი,—ამბობს ჩერჩილი,—და ჩვენი ღონისძიებანი გამოწვეულია უნდა იქნას მიმართული სწორედ იმისაკენ, რომ ამ იმედს წავართვათ ყოველგვარი საფუძველი და რეალობა".

„მე მგონია არ იყო ეპოქაში ბოლოდ,—ამბობს ჩერჩილი,—რომ ჩვენი ერთიერთობა, საბჭოთა რუსეთთან არასოდეს ყოფილა უფრო მჭიდრო, ახლო და გულითადი, ვიდრე ამჟამად არის...

იქ, სადაც ჩვენ არ შეგვეძლოს შეთანხმებას მივაღწიოთ, ჩვენ ვიცით მიზეზები, თუ რატომ არ ვეთანხმებით ერთიერთს, და შეგვეძლოა გავიგოთ ერთმანეთის თვალსაზრისი. მაგრამ პრობლემათა უმეტესი ნაწილი—განსაკუთრებით ფართო წრეში, ვიდრე ამ თვალსაზრისისათვის ინგლისის გარეშე, რომლითაც ჩვენ ამ საკითხებს ვეხებით, სრულ თანხმობას მივაღწიეთ. რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ გაერთიანებული ფრონტი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში აბსოლუტურ განმარტებამდე და ამ მიზნისათვის ჩვენი ძალღონისა და ენერგიის ყველა რესურსის მაქსიმალურ ხანგრძლივად ერთობლივი გამოყენების საკითხში. დიდ გერმანიაში გულში მოკავშირეთა ყოველგვარი იმედი თვით ოდნავ უთანხმოებათა წარმოშობისა ან მათ შორის გარეშეთ შემორჩენილი ძალების დისციპლინისა, რომლებიც განუდგნენ მათს წინამძღოლებს".

ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ბალკანეთის საკითხებში მიღწეულია სრული შეთანხმება.

ჩერჩილი შეეხო მოსკოვში განხილულ საპოლონეთო საკითხს და განაცხადა: „მიდრეკილია, რომ მე არ შემიძლია რაიმე ვთქვა ამ მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილებათა გამო, გარდა იმისა, რომ მე ჭეშმარიტად უფრო კარგ. სიტყვით გადაწყვეტილებამდე ჩავხედავდი იმისა, რომლებიც შეიძლება დიდ მოლოდინს ყოფილიყვნენ იმ მიზნით, რათა ეპოქის გვერდზე ომის შემდეგ ლუბლინელებთან რაიც შეიძლება მოკლე ვადაში".

ჩერჩილი შეჩერდა პოლონეთის პრობლემაზე და სთქვა: „ფიქრობ მე არ ვამტკიცებ წარსულის საქმეებში, ხოლო მომავლისათვის მინდა შევნიშნო, რომ ინგლისი, საბჭოთა რუსეთი და, არ მგონია, შეერთებული შტატები მიუღებენ მტკიცე შეთანხმებამდე იმის შესახებ, რომ საჭიროა აღდგენილი იქნას ძლიერი, თავისუფალი, დამოუკიდებელი, სუვერენული პოლონეთი, ლოიალური მოკავშირეთა მიმართ და მეგობრული მისი დიდი მეზობლისა და განმათავისუფლებლის—რუსეთის მიმართ".

ჩერჩილი შეეხო საბერძნეთის მდგომარეობაზე და დასასრულ გააშუქა საბერძნეთში არსებული მდგომარეობა.

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის აღდგენა

1943 წლის 2 თებერვალს სტალინგრადში გაისმა უკანასკნელი გასროლა. რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქში დაწყებულ იქნა ახალი ბრძოლა. ამ შემთხვევაში ქვეითები და არტილერისტები, ტანკისტები და მფრინავები შეცვალეს კალატოზებმა და ხუროებმა, მებეტონეებმა და მლესავებმა. აქ მოვიდნენ სტალინგრადელები და ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქების მშრომელები რათა აღედგინათ გმირი ქალაქი, რომელმაც უკვდავი დიდებით შემოსა თავისი სახელი.

პირველ რიგში დაიწყო სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის აღდგენა. ამის შემდეგ 17 თვე განვლო. ყველა ძირითადი საამქრო აცვე მზადაა ექსპლოატაციისათვის.

მშენებლებმა აღადგინეს 100 ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი, სადაც უახლოეს დროში შეიძლება დაწყებულ იქნას ტრაქტორების მასიური გამოშვება. აღდგენილია ქარხნის თბოელექტროცენტრალი, რომლის სიმძლავრე იმავდელ დონეს უდრის, 90 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სკოლა, აბანო, კლუბი, სააფთიაქო, პოლიკლინიკა.

საამქროებისა და სახლების ნანგრევები, ჭურვებით დანგრეული გზები, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი აფერხებდა მშენებელთა მუშაობას. საჭირო იყო საამქროებისა და შენობების გაწმენდა ნამსხვრევებისა ქვისაგან, მიწყოლ-მიყრილი მოწყობილობებისაგან, თითოეულ მეტრი ნაგვისაგან.

ყველგან დიდ საფრთხეს ქმნიდა გერმანელების მიერ დატოვებული ათასობით ნაღმი, აუფეთქებელი ჭურვები. ამიტომ ახალგაზრდა მუშების სწავლებასთან ერთად საჭირო იყო მათში სიფხიზლის გრძნობის დანერგვა, რომ შეეძლებოდათ საფრთხის გამოცნობა.

ძალიან სერიოზული იყო საამშენებლო ამოცანები. არ იყო მიწისქვეშა კომუნიკაციების ნახაზები. საჭირო შეიქნა მიწისქვეშა წყალსადენის, კანალიზაციის, ორთქლისა და ჰაერსადენი მილებისა და კაბელების ქსელის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფის ჩამოყალიბება.

მშენებელთა კოლექტივმა თავის ამოცანად დაისახა ქარხნის აღდგენა, ისე, რომ მაქსიმალურად გამოეყენებინა საამშენებლო მასალები და ნარჩენები. ჩვენ ვცდილობდით გამოგვეყენებინა შემოწმებული და დეფორმირებული ლითონის კონსტრუქციები, ბეტონი და აგური. მშენებელთა შემოქმედებითი ენერგია მოულოდნელ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, მე-5 კორპუსის ჩრდილოეთის კედელი დანგრეული იყო. პროექტი ითვალისწინებდა მის დაშლას. მაგრამ მშენებლებმა გამონახეს საშუალება შეენახათ ნახევრადდანგრეული კედელი, მათ გამოიყენეს მისი გამაგრების განსაკუთრებული ხერხი.

ჩვენ შევძელით აღგვედგინა რკინაბეტონისა და ლითონის მრავალი კონსტრუქცია და ამრიგად დავზოგეთ ათასობით ტონა ლითონი. ამ წესით შეკეთებული და გამოყენებულია 4,5 ათასი კუბომეტრი რკინაბეტონის კონსტრუქცია, აღდგენილია და დაგებული 19 ათასი ცალი რკინაბეტონის გადახურვის ფილა, 21 ათასი კვადრატული მეტრი პარკეტი, ხიდები, გარსები. მე-ტყის დაზოგვის მიზნით, რომლის გადმოზიდვა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, ჩვენ ფართოდ გამოვიყენეთ ხარისხიანი გადახურვისა და კედლებისათვის თაბაშირის ფილა და ბლოკი. ყოველივე ეს დაზოგა დაუფასებელი საწარმოებში.

ასობით ადამიანები ჩაბმულნი იყვნენ დაზგების, მექანიზმებისა და ინსტრუმენტების აღდგენის სამუშაოებში. ნაგავსა და ნამსხვრევებში ნაპოვნი ცულები, ხერხები და ხელსაწყოები გამოყენებულ იქნა მუშაობაში.

თითქმის ყველა უბანზე მოეწყო სპეციალური საამქროები მოწყობილობათა, ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შესაკეთებლად. ჩვენ შეკეთებული დაზგებით შევაიარაღეთ ახლად აღდგენილი საცურველი საამქრო, მექანიკური სახელოსნოები, ლეკალთა ქარხანა და მთელი რიგი სხვა დამხმარე საწარმოები.

პირობით შეიძლება ლაპარაკი სატრაქტორო ქარხნის ზოგიერთი საამქროების აღდგენაზე, რადგან ისინი ხელახლად იქნა აშენებული. მთლიანად დანგრეული იყო ქარხნის მთავარი კორპუსი—მექანიკური ამწყობი საამქრო. ჩვენ ის ავაშენეთ ახალი პროექტის მიხედვით. ახალი საამქრო, ძველთან შედარებით, გაცილებით უკეთესია ექსპლოატაციისათვის.

ქარხნის აღდგენის დროს შეტანილი იქნა მთელი რიგი კონსტრუქციული ცვლილებანი, რომლებიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ საამქროების სიქსპლოატაციო ხარისხს. ამრიგად, აღდგენილი ქარხანა გაცილებით უფრო სრულყოფილი და საწარმოო ნაყოფიერებას მქონე იქნება, ვიდრე იგი ომამდე იყო.

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის აღდგენაზე მრავალრიცხოვანი კოლექტივი მუშაობდა. ლენინურმა კომკავშირმა გამოგზავნა 10 ათასი ვაჟი და ქალიშვილი, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილს უმუშავნია წინათ მშენებლობაზე. ახალგაზრდა პატრიოტები აღჭურვილი იყვნენ სურვილით სწრაფად აღედგინათ მშობლიური საწარმო, გაეგრძელებინათ კომკავშირელთა უფროსი თაობის მესახიერო ტრადიცია, რომლებმაც ეს გიგანტი ქარხანა ააშენეს პირველ სტალინურ ხუთწლედში.

მთლიანად დანგრეულ ქალაქის ხმაზე ვითარება მოითხოვდა ახალგაზრდა მშენებელთაგან უდიდეს დაძაბულობას და თავდადებას. მათ შესანიშნავად გაართვეს თავი ყველა სიძნელეს, მუშაობდნენ თავდადებით, ეუფლებოდნენ სამშენებლო პროფესიებს. საამშენებლო სამუშაოების პროცესში 3.000 კაცი დაეუფლა საამშენებლო პროფესიებს. ახალგაზრდა მუშებს შორის გამოჩნდნენ სტახანოველები, რომლებმაც გადაჭარბეს თავიანთ მასწავლებლებსა და ინსტრუქტორებს.

ქარხანაში სოციალისტურ შეჯიბრების ინიციატორმა კალატოზმა ვაინშტეინმა თავისი ბრიგადის მუშაობა მოაწყო ისე, რომ იგი ნორმას საშუალოდ 150-200 პროცენტით ასრულებს. ამხ. ტოლსტოშეევას ბრიგადის მლესავები სამი თვის განმავლობაში, დაეუფლნენ თავიანთ პროფესიას და ახლა 200 პროცენტზე მეტით ასრულებენ დავალებას. სტახანოველები—კალატოზები ლომინოვა, მილიაევი, მლესავი ბორისკინა, ხუროთმაკეევა, მბეტონე ხაიჩენკო, ხეიბალი ხოგდანოვა და ათასობით სხვა სტახანოველები სათავეში ჩაუდგნენ დიდი ქალაქის აღსადგენელ საბჭოთა ახალგაზრდობის ენთუზიაზმის უდიდეს აღტყინებას.

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა უახლოეს დროში კვლავ ჩადგება მწყობრში.

„СТЗ-3" მარკის ათასობით ახალი ტრაქტორები დაიწყებენ ჩვენი სამშობლოს სოციალისტური მინდვრებს.

აღდგენილი სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა წარმოადგენს ჩვენი კოლექტივის პასუხს ამხანაგ სტალინის მოწოდებაზე: „ჩვენ უნდა მთლიანად ვუყოთ ლიკვიდაცია გერმანელთა ბატონ-პატრონების შედეგებს გერმანელი ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში". იგი ახალი ბრწყინვალე დადასტურებაა საბჭოთა ზურგის სიმტკიცისა, ჩვენი მხარის ეკონომიური ძლიერების ზრდისა.

ი. სალტიკოვსკი
სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობის უფროსი.

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. დარახვლი

ბ—659149
რედაქციის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175 С